საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7968
20/12/2022

7968-21-2-202212201219

შპს „ლგ ტრანსს“
მის: ჩუღურეთის რაიონი, გ. დოლიძის ქ., N22
ელ. ფოსტა: Lg.trans1@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის №6746 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნავაზში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 9.9 და 10.6 ქვეპუნქტების შესაბამისად. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს განცხადების ზემოაღნიშნული 9.9 ქვეპუნქტით წარმოდგენის საფუძველი;
- „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (№440) მე-4 მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად „წყლის ობიექტებზე და წყალდაცვით ზოლებში განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, როგორც წესი, უნდა აღიჭურვონ სათანადო ტექნიკური საშუალებებით, რათა მთლიანად გამოირიცხოს მდინარის დაბინძურებისა და დანაგვიანების შესაძლებლობა“, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში;
- საპროექტო სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი ექცევა მდინარე არაგვის ხეობაში განთავსებულ შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის'' საკუთრებაში არსებულ სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტის მეორე სანიტარული დაცვის სარტყელში. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებას თან უნდა დაერთოს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

ამასთან გაცნობებთ, რომ სარწყავი სისტემების მაგისტრალურ და გამანაწილებელ არხებში მიუღებელია ჩამდინარე წყლების ჩაშვება, კერძოდ:

- გამანაწილებელ არხებს გააჩნიათ პროექტით დადგენილი გამტარუნარიანობა, რომელშიც დამატებით ჩაშვებულმა წყალმა შესაძლებელია გამოიწვიოს არხის

გადავსება, ჭარბი წყლის გადასვლა არხის ბერმაზე და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა. ამასთან ჩამდინარე წყალი შეამცირებს არხის გამტარუნარიანობას და შესაბამისად მასზე დამოკიდებული სარწყავი ფართობის წყლით უზრუნველყოფას.

- ჩამდინარე წყლების გამწმენდმა ნაგებობამ შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს დაბინძურებული წყლის გაწმენდა, შესაბამისად ავტოსადგომზე მოსაწყობი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან დაბინძურებული წყალი მოხვდება სარწყავ ფართობზე, რაც გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას;
- ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა შპს ,,საქართველოს მელიორაცია“-ს საკუთრებაში არსებულ სამელიორაციო არხში ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით სკრინინგის განცხადებას თან დაერთოს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო